საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-02/72

ქ. ბათუმი 17 მაისი, 2019 წ.

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13, 25-ე მუხლებისა და ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსის დიანა ახვლედიანის 2019 წლის 16 მაისის MES 9 19 00583905 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის არჩევნები ტურიზმის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიდან ერთი წარმომადგენლის ასარჩევად.
2. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის არჩევნები ტურიზმის ფაკულტეტზე ჩატარდეს 2019 წლის 31 მაისს (არჩევნებზე კენჭისყრა დაიწყება 10 საათზე და დამთავრდება 17 საათზე).
3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ №32/35, ოთახი N13) 2019 წლის 20 მაისიდან – 2019 წლის 30 მაისის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა ,10 საათიდან 16 საათამდე.
4. კანდიდატებმა საარჩევნო კომისიაში უნდა წარადგინონ:
   ა) განცხადება;
   ა) პირადობის მოწმობის ასლი;
   გ) ცნობა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურიდან, აკადემიური თანამდებობის მითითებით.
5. ბსუ-ს საარჩევნო კომისიას ეთხოვოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის ბსუ-ს წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.
6. ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს დაევალოს არჩევნებისთვის შესაბამისი ოთახის გამოყოფა და ამომრჩეველთა სიების წარდგენა ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში 2019 წლის 28 მაისის ჩათვლით.
7. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად ჩაბარდეს ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს (ვ. მიქაშავიძეს), საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და განთავსდეს ფაკულტეტის საინფორმაციო დაფასა და ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (ველში -კონკურსები).
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**